№452 2016 წლის 15 მარტი ქ. თბილისი

**საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ უძრავი ქონების მომსახურებისათვის საჭირო ხარჯების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ**

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობაში განთავსებულია ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი, სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, 2016 წლის განმავლობაში ნება დაერთოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, განახორციელოს უძრავი ქონების, მდებარე – ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. №7-ში, მომსახურებისათვის გაწეული დანახარჯების (ელექტროენერგიის, წყლის, დასუფთავებისა და უძრავი ქონების მომსახურებისათვის სხვა საჭირო ხარჯები) დაფარვა „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**